# ცნობის ფურცელი

[...]წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 15 აპრილი № 1436

[...]თი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: [...]ივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

[...]მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში, № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო[...]ში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.


[...]აპრილს გარდაიცვალა სოფ. ჯიხაიშში ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი

## სვიმონ ზეყანის ძე ლორთქიფანიძე.

[...]ობრები განსვენებულისა სთხოვენ ნაცნობთა და ნათესავთ მობრძანდნენ კვი[რას], 15 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, [სად]აც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—2)

## ქართული თეატრი

**კვირას, 15 აპრილს**

ა რ ტ ი ს ტ ი ქ ა ლ ი

[...]გაბუნია-ცაგარლისა გამართავს წარმოდგენას მ. მ. საფაროვის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება

## ხ ა თ ა ბ ა ლ ა

კომ. 4 მოქ. და 5 სურ. გ. სუნდუკიანცისა.

[მო]ნაწილეობას მიიღებენ: ქ.-ქ. საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, [...]ძე; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვ.

[...]ების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ტფილისის კერძო

## მ კ უ რ ნ ა ლ ო

[ექიმ]ურნალის ზედევანიშვილისა.

[...]ებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8 — [...]მდე.

[...] ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ელექტრონით — 9 — 10 ს.

[...]მელიძე — ყურის, ყელის და ცხვირი[ს] [...]—12 საათამდე.

ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი [...]2 საათამდე.

[...]შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

[...]ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

გედევანიშვილი — ნერვებისა და შინა[გან]ი [...]2—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადასტაქრო— $12^1/_2$ $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$—2 საათამდე.

მ. ი. ბეზირგ:ნოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის ექიმი 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავათმყოფობანი) და ფიზიკო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5 — 6 საათზე.

გ. მაღალაშვილი — კვირაობით — 10 — 12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის კრებაზე, მობრძანდნენ 29 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, სადაც ამ დღეს დანიშნულია

**თავად-აზნართა საგანგებო კრება.**

კრების განსახილველი საგნებია: მოხსენება სარევიზიო კომისიისა სათავად-აზნაურო მამულის გამგეობის მოქმედების შესახებ; ახალი დებულება ამ მამულის მართვა-გამგეობისა; არჩევანი მამულის გამგეობის ახალის წევრებისა; ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელთათვის და საბრუნებელ ფულების შესახებ; დეპუტატთა საკრებულოს საქმის წარმოება და მოხელეები; ქართულ დრამატიულ საზოგადოების პრეტენზია სათავად-აზნაურო მამულის გამგეობისადმი. (ნ. 3—1)

## სამწუხარო დადგენილება.

ამ დღეებში „ცნ. ფურცელში“ ახალ ამბად იყო დაბეჭდილი, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე მსახურთა მომხმარებელმა საზოგადობამ დაადგინა მოსპოს 15 აპრილიდან ვაგონ-დუქნების მოქმედება. ეს ამბავი, შეიძლება, შეუმჩნევლად დარჩა ბევრს მკითხველს, მაგრამ ხსენებული დადგენილება ყურადღების ღირსია, რადგანაც შეუძლებელ მდგომარეობაში აგდებს რამდენიმე ათას მსახურს მათის ოჯახებით.

როგორც მკითხველებსაც კარგად მოეხსენება, ამიერ-კავკასიის რკინის გზა, ტფილისიდან დაწყებული ბაქომდე, 515 ვერსის მანძილზე, გაყვანილია თითქმის სრულიად უდაბნო ადგილებზე. რამდენიმე ას ვერსზე აქ ვერ შეხვდებით მოსახლეობას; სხვა რა უნდა მოიკითხოთ, როდესაც უდიდეს მანძილზე დასალევ წყალსაც ვერ იშოვით, ასე რომ რკინის გზა იძულებულია წყალი უზიდოს თავის მსახურთ! ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მოუვა კაცს, საჭირო სანოვაგე-საკვები იშოვოს ამ გზის ახლო-მახლო და რკინის გზის მრავალ-ათასი მსახურნი იძულებულნი არიან საჭმელ-სასმელი ტფილისიდან, განჯიდან და ბაქოდან ზიდონ.

ამ გზაზე მსახურთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის კერძო საზოგადოებამ, რომელსაც უწინ ეკუთვნოდა ეს გზა მოაწყო განსაკუთრებული ვაგონ-დუქნები, რომლებითაც უზიდავდა ბაქო-ტფილისის რკინის გზის ნაწილის მსახურთ სურსათ-სანოვაგეს; როდესაც ამიერ-კავკასიის რკინის გზა გადვიდა ხაზინის ხელში, ამ ვაგონ-დუქნებს ხაზინა ქირით აძლევდა კერძო პირთ, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ საჭმელ-სასმელი ეზიდათ ხსენებულ ნაწილის მსახურთათვის. ცხადია, რომ ეს კერძო პირნი უფრო თავის ჯიბის გასქელებისთვის ზრუნავდნენ და არა მსახურთა ინტერესებისათვის; ამიტომაც მათ უმეტეს შემთხვევაში მიჰქონდათ გასასაღებლად უვარგისი სანოვაგე და გადამეტებულს ფასებს იღებდნენ მსახურთაგან; უდაბნოში მცხოვრები მსახურნი კი ძალაუნებურად ჰყიდულობდნენ მათგან ყოველისფერს, რაც უნდა ფასი დაენიშნა უსინიდისო მოიჯარადრე-ვაჭარს.

ამ სამწუხარო მდგომარეობიდან მსახურნი იხსნა 1896 წელს ახლად დაარსებულმა რკინის გზაზე მომხმარებელმა საზოგადოებამ. რკინის გზის მმართველობა შევიდა თავის მსახურთა შევიწროებულ მდგომარეობაში და ვაგონ-დუქნები უსასყიდლოდ გადასცა მომხმარებელს საზოგადოებას. ეს საზოგადოება კვირაში სამჯერ უზიდავდა (ჯერ თავის წევრებს, შემდეგში კი ყველა მსახურთაც) საჭირო სურსათ-სანოვაგეს კარგის თვისებისას და ხელსაყრელ ფასადაც. რკინის გზა, რასაკვირველია, არაფერს ართმევდა

## ფელეტონი

**პ ო ე ტ ი.**

(ვიქტორ ჰიუგოდან)

[...]ლთათ წარყვნისა და დაცემის დღეს
[...]გალითი წმიდათა აქვს პოეტს დაცული,
[...]მინის, ვერ შეაკრთობს ბასრი მახვილი;
[...] და ტანჯულთ სანუგეშოდ მადლით მოცულსა
[...]ურია წმიდა ჩანგი აღფრთოვანებული,
[...]ვის კი მას თავი აქვს გამზადებული.

დავიწყებული.

**[ცხ]ოვრება და ხელოვნება.**

([...]უიღბლო კაცისა ქართულს ლიტერატუ[რაში] [...]. ბარნოვი, „მეჩვენა“ მოთხრ. „მოამბე“ № II 1901 წ.)

[...] დიდი ნაკლულევანება ჩვენის ლი[ტერატუ]რისა ცალმხრივობაა. ჩვენ არა ერ[თხელ] [გვი]თქვამს, რომ ჩვენის ლიტერატუ[რის] [...]ად უმეტეს ნაწილად აღებულია [...] ცხოვრება მდაბიო ხალხისა, სულ [...] წოდებისაგანაც უნდა შე[...]ეს ეს ხალხი. ინტელიგენტთა ცხო[ვრების] [აღ]წერას კი ჩვენი მწერლობა, როგორც [...] გაურბის, უფრთხის. იმ დროს, [როდესაც] ევროპიელი ლიტერატურა (მაგ. [...]ი) სრულიად წინააღმდეგ მიმართულებას ადგა, ე. ი. მისს უმთავრესს ყურადღებას იპყრობდა ცხოვრება მოწინავე საზოგადოებისა, ჩვენი-ილია ჭავჭავაძიდან დაწყებული დღეინდელს დღემდე, უმთავრესად ჩამორჩენილის წრეების ცხოვრებას გვისურათებდა. მხოლოდ გ. ერისთავი შეეხო ჩვენის განათლებულის ახალგაზდობის ტიპს და ისიც რამდენიმე კალმის მოსმით დაგვიხატა, კაცმა უდა სთქვას, დიდად ნიჭიერად, ორიოდე ტიპი, ცრუ-განათლებულის ივანესი („გაყრაში“) და მწარე სასაცილოდ გახადა რომანტიკოსი ბეგლარი („დავაში“). მას შემდეგ ილია ჭავჭავაძემ სცადა ოთხმოციანის წლების უფერულის ახალგაზდის სურათი მოეცა არჩილის სახით („ოთარაანთ ქვრივი“), სხვებს კი ან არ შეჰხებიან ამ საგანს, და ან თუ შეჰხებიან, საკმაო ინტერესი ვერ აღუძრავთ ჩვენში ამ საგნის შესახებ. ახალი ლიტერატურა კი სცდილობს ცოტ-ცოტათი ცხოვრებას სხვა მხრით დაუწყოს ცქერა და ამიტომაც მოწინავე ნაწილის გრძნობებს გვისურათებს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ (ვაჟა-ფშაველა, არაგვისპირელი და სხვ.) ანა და მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელის სულისა და ცხოვრების ნაფლეთებს გვიშლის თვალწინ. ეს არის კარგი მხარე ახალის ჩვენის ლიტერატურისა, მაგრამ მაინცა და მაინც სამწუხაროა, რომ ჩვენის მოწინავე საზოგადოების ცხოვრების სრული სურათი ვერ წარმოგვიდგინა. ჩვენ არა გვაქვს არაფერი იმისი მსგავსი, რაც დახატა ფლობერმა, თავის Education sentimentalle-ში, ბურჟემ თავისს ფსიხოლოგიურ რომანებში, სენკევიჩმა თავისს „უდოგმატოდ-“ში, ტურგენევმა თავისს მოთხრობებში, ტოლსტოიმ თავისს რომანებში. ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურული ტიპი ახალგაზდასი, რომლის ყოველივე კეთილი მისწრაფება, ცხოვრების სიბინძურესა და სიბეჩავეს გაუსრესია და გაუტალახებია და არა გვაქვს ამგვარის ახალგაზდის სულიერის დრამის სურათი; ჩვენ არა ვხედავთ ჩვენს ლიტერატურაში ეჭვით ავადმყოფ ჰამლეტებს, რომლის გრძნობა და გონება ნიადაგ წინააღმდეგობაში არიან, რომლისათვისაც გონიერებას და ნიჭს ანალიზისას მოუწამლავს სიცოცხლის ენერგია და მოუდუნებია ცხოვრებისათვის მიუცილებელი ძალა. ჩვენ არა გვყავს ჩვენს ლიტერატურაში დასურათებული ახალგაზდობა დაავადმყოფებული და დასუსტებული, ახალის აზრების შეგნებით თუ მათის ცრუდ გაგებით გარყვნილი და გაქსუებული, რომელიც ცხოვრებაში ბრძოლისაგან დასუსტებული ეცემა ტყვიით შუბლ-გახვრეტილი, სულ ერთია თავისი ხელით მოიხვედრა ეს ტყვია თუ სხვა რამე ღონეს მიჰმართა სიცოცხლის მოსასპობლად. ასეთი ლიტერატურა არ შეიძლება იქნეს ხალხის ცხოვრების სრულ და ნამდვილ გამომსახველად; არ შეუძლია ასეთს მწერლობას გაუწიოს საზოგადოებას ხელოვანი დიაგნოზის სამსახური, რომელიც საზოგადოების წყლულს თვალსაჩინოდ ჰხდის; ვერ ძალუძს ასეთს მწერლობას საზოგადოების წინამძღვრად და მოციქულად გაუხდეს, რადგან მან არ იცის საზოგადოების, ერის, ხალხის სრული ცხოვრება, რომ ამ ცხოვრების ცოდნასა და შეგნებაზე დაამყაროს თავისი წინასწარმეტყველური მეთაურობა.

ზემოდ ამოწერილი მოთხრობა ბ. ბარნოვისა, სწორედ მხოლოდ და მარტო იმიტომაც არის საყურადღებო, რომ ჩვენის ლიტერატურისათვის უცხო საგანს შეეხო და ჯერედ ახალი ხილი აგემა ჩვენს ლიტერატურას. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ბ. ბარნოვს არ შესწევდა საკმაო ძალა, რომ ეს საგანი სავსებით და ხელოვნებით გაეთვალისწინებინა ჩვენთვის; მეტად გული მეწვის, რომ მეტი ხელოვნური გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა, რომ თვისის მოთხრობის გმირის სულის თვით უსაიდუმლოესი კუნჭულები დაენახვებინა ჩვენთვის, მაგრამ ყოველს შემთხვევაში იგი მადლობის ღირსია, რომ გადააბიჯა ჩვენის ლიტერატურის შემოზღუდულ ბჭეს და სასმენელად საკმაოდ საამური მოთხრობა დაგვიწერა.

ამ მოთხრობის შინაარსია, ცხოვრება ცხოვრებისგან გათელილის კაცისა, რომელსაც

მომხმარებელ საზოგადოებას საქონლის გადაზიდვაში და ამ გარემოებამ შეძლება მისცა საზოგადოებას კარგი სანოვაგე დაკლებულის ფასებით მიეწვდინა ბაქო-ტფილისის და შემდეგში ტფილის-ყარსის ნაწილების მსახურთათვის.

ასეთი მდგომარეობა იყო დღემდის; დღემდის მრავალ ათას მსახურთ შეძლება ჰქონდათ რიგიანი საჭმელ-სასმელი ჰქონოდათ ღვთისნიერ ფასად. მაგრამ სწორედ დღეიდან ყოველივე ეს იცვლება: მომხმარებელ საზოგადოებას, როგორც ვთქვით, დაუდგენია მოსპოს ვაგონ-დუქნების მოქმედება და ამით ათას მსახურს სრულიად უპატრონოდ სტოვებს.

რამ აიძულა მომხმარებელი საზოგადოება ასე მოქცეულიყო? როგორც გავიგეთ, ამის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ამიერკავკასიის რკინის გზების მმართველობას გადაუწყვეტია ამიერიდან მუქთად აღარ ზიდოს მომხმარებელ საზოგადოების საქონელი ბაქო-ტფილისისა და ტფილის-ყარსის ნაწილებზე; საზოგადოებამ უნდა იხადოს ბაჟი ეგრედ წოდებულის შეღავათიანის ტარიფის (№ 72, 1899 წლის) მიხედვით, ესე იგი, 1/100 კაპ. თითო ფუთზე ერთის ვერსის მანძილზე. ეს ტარიფი მართლაც შეღავათიანია, მაგრამ არა ჩვენის რკისის გზის მომხმარებელ საზოგადოებისათვის, არამედ რუსეთის შიდა გუბერნიების რკინის გზებისათვის. იქ მომხმარებელ საზოგადოებას თვეში ერთხელ თუ დასჭირდება საქონლის მიწოდება თავის წევრთათვის, ისიც დიდია; აქ კი კვირაში სამჯერ უნდა გაიგზავნოს სურსათი, წინააღმდეგ შემთხვევაში მსახურნი შიმშილით ამოწყდებიან. ჩვენი რკისის გზა უმთავრესად ბაქო-ტფილისის ნაწილი, განსაკუთრებულ პირობებშია; აქ შეღავათიანი ტარიფიც შეუძლებელ მდგომარეობას ჰქმნის და მეტად ავიწროვებს, როგორც მომხმარებელ საზოგადოების მოქმედებას, ისე მსახურთა კეთილდღეობას. დაახლოვებულის გამოანგარიშებით, მომხმარებელმა საზოგადოებამ უნდა გადაუხადოს ხაზინას, შეღავათიან ტარიფის ძალით, 80 ათას მანეთამდე; საზოგადოებას იმდენი შემოსავალი არა აქვს, რომ ეს ხარჯი გასწიოს და ამიტომ იძულებული შეიქმნებოდა ერთი-ორად აეწია სურსათის ფასი; ეს-კი სრულიად ეწინააღმდეგება მის დაარსების საგანსა და მისწრაფებას.

მომხმარებელმა საზოგადოებამ, სანამ რასმე გადაწყვეტდა, მიჰმართა თხოვნით სათანადო მთავრობას—მიეღო მხედველობაში განსაკუთრებული პირობანი და არ შემოეღო შეღავათიანი ტარიფი, მაგრამ, სამწუხაროდ, შუამდგომლობაზე უარი მიიღო. ამის გამო, მომხმარებელი საზოგადოება იძულებული შეიქნა უარი ეთქვა ვაგონ-დუქნებით სარგებლობაზე და დღეიდან ისპობა მათი მოქმედება.

რასაკვირველია, რკინის გზებზე მსახურნი შიმშილით არ გაწყდებიან და რამენაირად თავს უშველიან, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ეს დადგენილება მეტად ცუდ გარემოებაში ჩააყენებს მათ და ვნებას მოუტანს, როგორც მათს ისედაც თხელს ჯიბეს, ისე მათს, ისედაც შერყეულს ჯანმრთელობას. უფრო გაუჭირდებათ, რასაკვირველია, წვრილ მოხელე-მსახურთ, ვიდრე უფროსებს, რომელთაც ადვილად შეუძლიათ, თუნდ იმავე წვრილ მსახურთა გაგზავნ-გამოგზავნით ყოველივე იშოვონ...

ჩვენის ფიქრით, რკინის გზის მმართველობა დაინტერესებულია იზრუნოს თვის მსახურთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; მის დიდს ბიუჯეტში 80 ათასი მანათი თითქმის არაფერს არ შეადგენს და დიდი დასაკლისი არ იქნება, მასზე რომ უარი სთქვას; რკინის გზის მსახურ-მოხელეთათვის-კი ეს დიდი შეღავათი იქნება.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

13 აპრილი.

**პეტერბურგი.** 13 აპრილს, ხელმწიფე იმპერატორის დასწრებით, მიხაილოვის მანეჟში მოხდა სადღესასწაულო ვარჯიშობა ლეიბ-გიარდიის გრენადერთა პოლკისა და ურალის ყაზახთა რაზმისა.

13 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე მემკვიდრემ დაათვალიერეს ფრანგ მხატვრის მერვეკსის სურათი „ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის ცერემონია მოსკოვის მიძინების ტაძარში“.

ურიის ბლონდენის საქმის გამო, რომელსაც ვილნოს სასამართლომ დაპატიმრება და განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა გადაუწყვიტა, სენატმა, თანახმად პროკურორის პროტესტისა და ვექილის თხოვნისა, დაადგინა გაუქმებულ იქმნას სასამართლოსა და ნაფიც მსაჯულთა გარდაწყვეტილება, ხოლო საქმე ხელმეორედ იქმნას გარჩეული იმავე სასამართლოში სხვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

**არხანგელსკი.** მოელიან, რომ დვინაზე ყინული ორი დღის შემდეგ დაიძვრის; ქალაქს ზევით 80 ვერსტის სიშორეზე ყინული უკვე დაიძრა.

**პენზა** აქ დიდი წვიმა მოვიდა; ეხლა სიცხეები დაიჭირა.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნგ“-ს პეტერბურგიდან სწერენ, რომ სპარსეთის შაჰის ჯანმრთელობა ისევ შეირყა; გაუძლიერდა ნაღვლისა და თირკმელების ავადმყოფობა და გაუძნელდა სუნთქვა. ბრძოლა-ქიშპობა დიდ ვეზირის ასგარხანისა და შაჰის მახლობელ-საყვარელ კაცის ხანულმულკის შუა ძლიერდება. მთავრობამ ბოლო ხანებში მძიმე გადასახადი დაადვა უსაჭიროეს საქონელ-სურსათს, რაც თვალსაჩინო უკმაყოფილებას იწვევს თეირანის მცხოვრებთა შორის; უმთავრესად აღელვებულია ხალხი ხორცზე დადებულ გადასახადით, რომლის შემოღებას აბრალებს ბელგიელ ხარჯთ-ამკრეფთ.

**ფრანკფურტი-მაინზე.** იტყობინებიან, რომ გრიზჰეიმში დილას 80 გვამი უპოვნიათ; ჰფიქრობენ, რომ კიდევ უნდა იყოს ბევრი დამწყარი.

**ბუქარესტი** „რუმინიის სააგენტო“ აცხადებს, რომ სრულიად სიმართლეს მოკლებულია ინგლისისა და ამერიკის გაზეთებისმიერ გავრცელებული ხმა, ვითომც რუმინიის მეფის მოკვლის განზრახვა ჰქონდა ვისმეს; ეს ხმა გამოიწვია, ალბათ, იმ ამბავმა, რომ ამას წინად ვიღაც ჰკუაზე შეშლილმა, რომელიც ეხლა საავადმყოფოშია, ქვები დაუშინა სასახლის ქვედა სართულის ფანჯრებს.

**ლონდონი.** ჩემბერლენი აცხადებს, რომ „დეილი მეილ“-ში გუშინ დაბეჭდილი ამბავი, ვითომ მისსა და გიკს-ბიჩის შორის უთანხმოება არსებობდეს, სიმართლეს მოკლებულიაო.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: „უკანასკნელის ჩემის დეპეშის შემდეგ მივიღე კიდევ შემდეგი ცნობები: დატყვევებულ იქმნა 113 ბური, თავის ნებით დაგვნებდა 10 ბური; ხელში ჩავიგდეთ 138 თოფი, 48 ცხენი, ერთი 12 გირვანქიანი ზარბაზანი და 15.000 პატრონა პატარა ზომის თოფებისათვის; 12 ბური მოკლულია; გელვეციასთან ბურებს წავართვით ორი ზარბაზანი. გარდა ამისა, ხელში ჩაგვივარდა ბევრი ურემი და საქონელი. ინგლისელთ ერთი კაცი მოუკლეს, ერთი პორუჩიკი და 7 ჯარის კაცი მსუბუქად დაუჭრეს“.

**პეკინი.** ჩინეთის ჯარებ[...] ვლავ გა[...] რამდენიმე ალაგას. ჩინეთის რწმუნ[...] ევროპიელებმა [...] ეხლავ დაიწყონ [...] უძრავად სდგას[...] მოუვიდა მშვიდობიანად იყოს იმ დრ[...] სანამ ცნობაში მოყვანილი იქნება, თ[...] შემდეგი მოჰყვება ჩინეთის იმპერატ[...] უკანასკნელ ბრძანებებს.

**შანხაი.** გამოცხადდა დაწვრილ[...] ცნობები ჩინეთის შემოსავალ-გასავ[...] ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ჩინეთს, თანა ალრიცხვით, წელიწადში [...] უდის 88.000,000 ტაელი, ეხარჯება 101.000,000 ტაელი; ასე რომ [...] წლივ 13 მილიონი ტაელი დეფიციტი.

**ლონდონი.** „ტაიმს“ იტყობინებენ [...] როოს-სენეკალი, რომელშიაც ბოლოს ცხოვრობდა შალკ-ბურგერი და იმყო[...] და ბურების მთავრობა, გუშინ და[...] პოლკოვნიკმა პულტენემ. ლანდრო[...] ჯარისკაცით მაშინვე დანებდა ინგლ[...] შემდეგ მათ დანებდა კიდევ 50 ბური.

**პეკინი.** ჯამი ყველა ელჩების მი[...] ნეთისაგან მოთხოვნილის საზღაურისა 65,000,000 გირვ. სტერლინგს აღემ[...] იტალია 2,800,000 გირვანქას საზღ[...] თხოულობს და 1901 წლის 1 მაისი[...] დეგ ყოველ თვეს 100,000 გირვანქა[...] თხოულობს კიდევ 100,000 გირვ. [...] თხვევაში, თუ ჯარი მომავალ ზამთ[...] ჩინეთიდან გაყვანილ არ იქმნა. კერძო[...] ბის დასაჯილდოებლად იტალია 1,14[...] გირვ. თხოულობს.

**ფრანკფურტი-მაინზე.** ახალი აფე[...] მოხდა ღამის 3 საათზე; ქალები და[...] ვები თავზარ დაცემულნი ქუჩებში გ[...] დნენ. 500,000 ლიტრი ბენზინით რეზერვუარებს არა დაჰშავებიათ რა, [...] რამ ამათი აფეთქებისაც ეშინიანთ, ეს შიში ხელს უშლის ცეცხლის ჩაქრ[...] ცოცხალთა გადარჩენას და ნანგრევ[...] მოკლულთა გამოტანას. დაშავებ[...] რიცხვი გამოკვლეული არაა. აფეთ[...] გამო ჰაერი ისე ძლიერ შეინძრა, [...] რამდენიმე ბავში წყალში გადავარდ[...] დაიხრჩო. მცხოვრებლების უმეტესობა[...] ზარ დაცემული ფრანკფურტში გაიქ[...]

**პეტერბურგი.** 12 აპრილს საფრან[...] მინისტრის დელკასსეს პატივსაცემლა[...] ნაგაგან საქმეთა მინისტრთან საუზმ[...] გამართული, ხოლო საფრანგეთის სა[...] ში—მეორე სადილი

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

---

ფრანგები „რატეს“ (rate) ეძახიან და რუსები „ნეუდაჩნიკს“.

ამ ჩვენს უიღბლო იოსებ სანდომიძეს ჩვეულებრივად უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული. იგიც სხვა ყველა გულწრფელ და სამშობლოს სიყვარულით გატაცებულ ახალგაზდასავით გულწრფელად სახავდა თავისს თავს მოციქულად, თავი მახარობლად მიაჩნდა, რადგან კეთილი რამ უნდა ეხარებინა თავისი „დაქვეითებულის მოძმეებისთვის“ მასაც ისე, როგორც ყველა ახალგაზდას, რომელსაც ბრწყინვალე მომავალი ეხატება თვალის წინ და თავბრუ დამსხმელი იმედებით არის დამთვრალი, იმედებით, რომელიც უნივერსიტეტის წმინდა ჰაერშია მოპოებული და ხშირად ოცნებით აღსავსე ნიადაგზედ არის აშენებული. „ეჩქარებოდა სამშობლოში მოსვლა!“ დარწმუნებული იყო, რომ შესდგამდა თუ არა ფეხს საყვარელ ქვეყანაში, მაშინვე დაადგებოდა საკეთილო გზას“... მაგრამ მალე გაუქრა ჩვენ „უიღბლოს“ ოცნება, მწარე სინამდვილემ მალე დაარწმუნა, „რომ ცხოვრება ისე არ იყო მოწყობილი, როგორც სასწავლებლის ფანჯრებიდან ჩანდა, რომ არ იყო ცხოვრებისათვის კარგად დამზადებული,—ამ ცბიერ, გულ-ქვა, მოსისხლე ცხოვრებისათვის, თანაც სწამდა, რომ ეს ცხოვრება უკუღმართი იყო“... თავდაპირველად თითქო ბედმა გაუღიმა და თავისს სამშობლო ქალაქში იშოვა მისწავლებლის ადგილი და მიუხედველად ცხოვრების სიმწარისა გულდინჯად მიდიოდა თავისს გზაზე“, მაგრამ მალე მოუშხამა და მოუწამლა სასოება და ფიქრები დამპალმა ატმოსფერამ. მისი განვითარებული ამხანაგები, როგორც მისი განუვითარებელი მახლობლები მარტო ქონებაზე ოცნებობდნენ და ბაასობდნენ „არავითარ სიმდაბლეს და ჭუჭყს არ ერიდებოდნენ, ოღონდ შეეძინათ რამე... ფული და სიამოვნება—ასე ეწერა მათ დროშაზე და რადგან მათი სამსახური ვერ იძლეოდა იმას, ისინი ჰგმობდნენ თავიანთ ხელობას, ჩარჩობაზედაც კი დაბლა აყენებდნენ. ესეთი იყო მისი წრე, წრე განათლებულის თაობისა. არა უკეთესი იყვნენ სხვებიც. ხალხი გაიცნო, ვისიც გაცნობა კი შეეძლო და „რომ დააკვირდა, ისევ ის ძირითადი მისწრაფება შენიშნა ყველა წოდებაში, რაც ასულდგმულებდა მის მახლობლებს და ამხანაგებს: მოყვასის დაჩაგვრის სურვილი და მის ბედის ნანგრევებზე თვის კეთილდღეობის დამყარების წყურვილი, ერთის მხრივ, ხოლო ურცხვად, ცარცვა გლეჯით შეძენილი ქონებისა და ქედის მოდრეკით მოპოებულ პატივისა, მეორეს მხრივ“. გარეშე ამათსა თუ იყო ორიოდე კაცი იმათი სული და გული სევდითა და ვარამით იყო მოცული, იგინი „გარიყულნი და განმარტოებულნი იყვნენ“.

ამგვარ ატმოსფერაში მოქმედობდა ჩვენი „უიღბლო“ სანდომიძე და ამ თავითვე დაიწყო მისი უიღბლობა. რასაც ხელი მოკიდა, ყოველიფერი გაუცუდდა და ვერაფერი ვერ მოაწყო რიგიანად. სცადა შეეძინა ხალხის სიტყვიერების ნიმუშები, კიდევაც მიაღწია ამას, მაგრამ ვერ დაასტამბვინა და ისე დარჩა გამოუქვეყნებელი. სამსახურშიაც ბედმა ვერ გაუღიმა, რადგან არ იცოდა ქედის მოხრა, ამხანაგები აუხირდენ, რაკი ამჩნევდნენ მათის აზრისა და მისწრაფების არ იყო. საზოგადო საქმეში უიღბლობას ზედ დაერთო პირად ღრმა გრძნობათა უიღბლობა. შეუყვარდა ქალი, მშვენიერი და მისის სულისა და გულის სანეტარი, ულმობელმა სიკვდილმა წაართვა. მეორე ქალი იყო „ლამაზი, ცქრიალა, განვითარებული და მოსაქმე“. გულმა არ უთხრა. ხოლო იმან, ვისაც წააწყდა და რომლის შერთვაც გულმა უთხრა, მთლად მოუსპო სიცოცხლე. გამოდგა ქარაფშუტა, ზნეობა დაცემული და გაქსუებული დედაკაცი, რომელმაც პირველსავე შემთხვევაში უღალატა. ამ შემთხვევამ მას მთლად აურია გრძნობა-გონება, ცოლი გააგდო, და თვითაც სიცოცხლე მოისპო.

ასეთი გახლავს ბ. ბარნოვის მოთხრობის გმირი, უიღბლო უბედური და ბეჩავი იოსებ სანდომიძე. ჩვენა გვგონია, რომ ჩვენს ლიტერატურაში ბ. ბარნოვმა მიაქცია პირველად ამ ტიპს ყურადღება. მართალია ბ. ბარნოვი ერთობ აჩქარებულა და არა აქვს დაწვრილებით შემუშავებული არც მოთხრობა და არც ტიპი, მართალია ბ. ბარნოვი მხოლოდ გაკვრით იხსენიებს იმ ტიპს, რომელიც მეტად საინტერესოა და საყურადღებო, ტიპი იმ ორიოდე კაცისაც, მელთაც რაღაც მანქანებით შერჩენია[...] ლი აზრები და პატიოსანი გრძნობები, რამ გარიყული და განმარტოებული ჩენილან და სევდასა, სულით ობლ[...] გრძნობდნენ“. მართალია ვერ დაგ[...] ისე სავსებით ამ „უიღბლოს“ სული[...] რომ მის მეგობარსავით შეგვძლებოდა[...] თქვა: „ჰაი, ჰაი მიუხვდი! გული მა[...] ბევრი რამ გადამიშალა თვალწინ, რა[...] ძვირფასი იყო ჩემთვის, მაგრამ რაც [...] ლოდ შეიმუსრა, დაიფანტა, განქრა [...] რების ეკლიან გზაზე; მივხვდი, რამ გ[...] ის ვაჟკაცი, რამ დაამარცხა ისე საზარ[...] მართალია მეთქი, ყველა ეს ბ. ბარ[...] ვერ მოახერხა, მაგრამ თავისს მოთხრ[...] მრავალი მწარე ფიქრი აღგვიძრა. გაგვა[...] რა ჩინებული და მშვენიერი ადამ[...] ისპობიან და ჰქრებიან ჩვენს ცხოვრ[...] რადგან მათი ნაზი სული და გულ[...] უძლებს და ვერ იტანს შურით აღ[...] ჰაერს ჩვენის ცხოვრებისას; მიგვახედ[...] ცხოვრების საზიზღრობაზე, რომელიც[...] ლავად გახდომია ეგდენ მაღალ გრძნ[...] და ფიქრს, მისწრაფებასა და ლტოლ[...] ბას; მიგვახედვა ამ ცხოვრების უსასო[...] და უნუგეშობაზე, მის უფერულობი[...] მომწამლავ თვისებაზე. თანაც ავტორ[...] ნალი მისცა ჩვენს მწერლებს, დროა [...] ცხოვრებას მიაშუქოთ თქვენის ნიჭის [...] ლიო, და სწორედ ამაში არის ბ. ბარნ[...] უეჭველი დამსახურება.

კიტა აბაშიძე

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ინგლისში ეხლა ყველა ახალ ხარჯთ-აღრიცხვაზე ლაპარაკობს. ყველა აღიარებს, რომ [გ]იქს-ბიჩმა პირდაპირ და გულახდილად დახატა სამხრეთ აფრიკის ომის სამწუხარო შედეგები. [რ]ოგორც ისმის, ამ პირდაპირობისთვის ჩემბერ[ლ]ენი და ბროდრიკი მეტად დაემდურნენ გიქს-[ბ]იჩსაო. საზოგადოდ, ბიუჯეტი არ მოეწონათ [ა]რც ლიბერალებს და არც კონსერვატორებს. ეს [გ]არემოება მტკიცდება იმით, რომ წინადადება [შ]აქარზე ბაჟის დადების შესახებ მხოლოდ სა[შუალ]ო ხმის უმეტესობით იყო მიღებული, [წ]ინადადება ნახშირზე ბაჟის დადების შესა[ხ]ებ კი უფრო მცირე უმეტესობით, 44 ხმით. [რ]ოცა გენჯის ურის შედეგები გამოაცხადეს, ზო[გი]ერთმა დეპუტატმა დაცინვით დაიძახა: «სამ[წ]უხარს თავი დაანებეთ!»-ო. კონსერვატორებს [უ]ფრო უმეტესად შემოსავალზე გადასახადის [გა]დიდება არ მოსწონთ, რადგანაც ეს გადიდება [სა]შუალო კლასის ინტერესებს ეხება. «სტან[დ]არტ»-ი ამის თაობაზე შენიშნავს შემდეგს:

«ჩვენ არაფრად გვეჭაშნიკა ხაზინის კანცლე[რ]ის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. საზოგადოდ [უნდა] ვთქვათ, ეს პროექტი ამტკიცებს, რომ [ფ]ინანსების მინისტრს სახელმწიფო კაცის ნიჭი [არ]ა ჰქონია. ჩვენ არას ვამბობთ შაქარზე და [ნა]ხშირზე ბაჟის დადების შესახებ, მაგრამ შე[მო]სავალზე გადასახადის გადიდება, მთლად ახ[დ]ენს გიქს-ბიჩის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტს; [ამ]ის თვით მთავრობის მხურვალე მომხრეების [ში]რისვაც კი დიდი ოპოზიცია მოელის».

«დეილი ექსპრეს»-ი გიქს-ბიჩის პროექტს [ს]ცოდავ და გაუბედავ ღონისძიებად სთვლის; [ის] მხოლოდ ნდობას დაუკარგავს მთავრობასაო. «[დ]ეილი მაილ»-ი და სხვა კონსერვატიული გა[ზ]ეთები ჰკიცხავენ მთავრობას მისთვის, რომ [მა]ნ ბაჟი დადო, არამცთუ მხოლოდ უცხოეთის შა[ქა]რს, არამედ მასაც, რომელიც ინგლისის [კოლონი]ებიდან მოაქვთ. ლიბერალები უმთავრე[სა]დ უცხოეთში გაყიდულ ქვა-ნახშირზე ბაჟის [და]დების წინააღმდეგნი არიან. გაზ. «დეილი [ნ]იუს»-ი იხსენიებს, რომ ინგლისის სავაჭრო [პა]ლატების უკანასკნელ კრებაზე ყველამ ერთ[ხმ]ად პროტესტი გამოაცხადეს უცხოეთში გასა[ტ]ან ქვა-ნახშირზე ბაჟის დადების წინააღმდეგაო. [ამ] გაზეთის აზრით, ბევრი ქვა-ნახშირის მად[ნი]ს პატრონები იძულებულნი იქნებიან მუშაობა [შეა]ყენონ და მრავალი მუშა ულუკმა პუროდ [და]რჩება. საზოგადოთ ლიბერალური გაზეთები [ა]ცხადებენ, რომ გიქს-ბიჩის პროექტი ისეთ კარგ [სა]ბრძოლველ იარაღს აძლევს მათ ხელში, რომ[ლ]ისთანაც მათ ამ უკანასკნელი 20 წლის გან[მავ]ლობაში არა ჰქონიათო.

✿ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინის[ტ]რის დელკასსეს პეტერბურგში წასვლამ გა[ზ]ეთებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. [გა]რეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლო[ვე]ბული გაზეთი «მატენ»-ი აცხადებს, რომ [მი]ნისტრი პეტერბურგში თვით რუსეთის მთავ[რო]ბამ მიიწვია; ასე რომ ორივე ქვეყნის გარე[შე] საქმეთა მინისტრების შეხვედრა რუსეთის [მთა]ვრობის თაოსნობით მოხდებაო. დელკასსეს [პე]ტერბურგში გრაფს ლამსდორფთან სხვა და [სხვ]ა საერთაშორისო საკითხებზე ექნება ლაპა[რაკ]იო. მიწად-მოქმედების მინისტრის ლიუ[...]ის გაზ. «პტი პარიზიან»-ი აცხადებს, რომ [დე]ლკასსეს პეტერბურგში წასვლა რუსეთ-საფრან[გეთ]ის კავშირის სიმტკიცეს მოასწავებსო. [ეს] გაზეთი ამბობს:

«დელკასსესა და გრაფ ლამსდორფის შეხვედ[რა] დაამზადებს ნიადაგს, რათა ორივე სახელმ[წიფ]ომ ერთმანეთთან შეთანხმებით იმოქმედონ [შო]რეულ აღმოსავლეთში, სადაც დიდი საკითხე[ბია] აღძრული; ხოლო ეს საკითხები ისევ ისე [გა]დაუწყვეტი რჩება, რადგანაც წესიერება ჩინეთ[ში] ჯერ აღდგენილი არაა და რადგანაც ყველა [სახე]ლმწიფოების ერთმანეთთან შეთანხმება მე[ტა]დ გაძნელდა. შესაძლებელია, რომ მინისტ[რებ]ს თათბირის დროს მსჯელობა ექნებათ იმა[საც], თუ რანაირად იქმნას დამყარებული [საე]რთაშორისო თანასწორობა ხმელთა შუა ზღვა[ში], რადგანაც მოსალოდნელია ისეთი ამბები [მოხდ]ეს, რომლებიც ყველა ევროპის სახელმწი[ფო]ების შეთანხმებულ მოქმედებას გაჰხდიან საჭიროდ. ამ მხრივ იტალიის ესკადრის ტულონში მოსვლა სიკეთის მომასწავებელ ნიშანს წარმოადგენს».

დასასრულ «პტი პარიზიონ» იმედს აცხადებს, რომ დელკასსეს მოგზაურობა არა თუ მხოლოდ საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესებს შესძენს სარგებლობას, არამედ ევროპის მშვიდობიანობის განმტკიცებასაცაო.

✿ ვალიადოლიდაში (ისპანიაში),—ისპანიური გაზეთების სიტყვით,—დიდ ანტიკლერიკალურ დემონსტრაციებს ახდენენ. ამ დღეებში ქალაქის ქუჩებში პროცესსიას გაუვლია. პროცესსიის წინ ბაირაღები მიჰქონებიათ; ბაირაღებზე ზედ ეწერა: «იეზუიტები თავისუფლების მტრები არიან და ამიტომ უნდა მოსპობილ იქმნენ». სარწმუნოებრივი კონგრეგაციები უნდა განდევნილ იქმნენ».—«ჩვენ საერო სკოლები გვინდა». «1834 წელი ნუ გავიწყდებათ». როცა პროცესიას საფრანგეთისა და პორტუგალიის კონსულების სადგომ წინ გაუვლია, ხალხს აღტაცებით ძახილი დაუწყვია: «გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს პორტუგალიასა»! არავითარი უწესოება არ მომხდარა და მანიფესტანტები ქუჩებში გავლის შემდეგ მშვიდობიანად დაშლილან.

✿ ბოლგარიაში, სოფიაში, გამოიცა ბროშიურა პროფესორი მიხაილოვსკისა, რომელიც დიდის უმეტესობით არჩეულია მაკედონიის კონგრესსის უმეტესობით. ამ ბროშიურაში მიხაილოვსკი, სხვათა შორის, ამბობს შემდეგს: «არავითარ ძალას არ შეუძლიან მაკედონიის მოძრაობა გააჩეროს და ის ღონისძიებანი, რომლებიც მაკედონიის კომიტეტის წინააღმდეგ მთავრობამ მიიღო, უსათუოდ სამოქალაქო ომს გამოიწვევენ».

✿ «დეილი ქრონიკლ»-ის რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, სარწმუნო ცნობების მიხედვით, გერმანიის იმპერატორს განზრახვა აქვს მომავალი ივნისის დამდეგს რომში წავიდეს.

✿ ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც სამხრეთ—აფრიკის ომს შეეხებიან. უმთავრესი დოკუმენტი ამათში არის ალფრედ მილნერის მოხსენება სამხრეთ-აფრიკის მდგომარეობის შესახებ:

«1901 წლის 6 თებერვალს ბ. ალფრედ მილნერმა მთავრობას წერილით მიჰმართა, რომელშიაც აცხადებს, რომ მას პირადად ნამცეცი ეჭვიც არა აქვს, რომ საბოლოოდ ინგლისი გაიმარჯვებს, მაგრამ ის სინანულს აცხადებს იმის გამო, რომ ბურების ქვეყნებში ახალი ადმინისტრატიული წესების დამყარება უფრო მძიმე, უფრო ხანგრძლივი, უფრო მოსაზრებელი საქმე იქმნება და უფრო მეტს ხარჯს მოითხოვს, სანამ ეს წინად ეგონათ. შვიდი თვის წინად,—ამბობს მილნერი,—კაპის ახალშენს, ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილს და თვით ტრანსვაალის ნაწილს თითქო ზავი ეწადათ. ეხლა კი სულ სხვასა ვხედავთ. ორივე ახლად შეძენილი ახალშენები ხელმეორედ აღელდნენ, ხოლო ეს ახალშენები სივრცით საფრანგეთს და ინგლისს აღემატებიან და სწორედ რომ შეუძლებელია იქ პარტიზანული ომის მოსპობა.

შემდეგ მილნერი ამბობს იმ საშინელ ზარალზე, რომელიც ნათესაობის განადგურებამ და მადნების დანგრევამ მისცა სამხრეთ-აფრიკას. მეტად ბევრი ხანი გავა, ვიდრე რანდისა და კიმბერლეის მადნებში ხელახლად მუშაობა დაიწყება. მით მაინც ქონებრივ ზარალს აღემატება ის ზნეობრივი ზარალი, რომელიც ბურების მედგარმა წინააღმდეგობამ მოუტანა ინგლისსაო.

დასასრულ, ალფრედ მილნერი ამბობს, რომ, საბედნიეროდ, სამხრეთ აფრიკა მეტად მდიდარი და ძლიერი ქვეყანაა და ამიტომ ის მალე ისევ აყვავდებაო. მართალია, ინგლისის სამხრეთ-აფრიკელი მომხრეებიც მეტად დაიღალნენ და თავი მოაბეზრათ ამ ომმა, მაგრამ მით მაინც ისინი მზად არიან კიდევ დიდხანს იბრძოლონ იმ მიზნით, რომ სამხრეთ აფრიკა ინგლისს ხელიდან არ წაუვიდეს. როცა ეს მიზანი მიღწეული იქნება, მაშინ ინგლისის მომხრეები მთლად დავიწყებას მისცემენ თავიანთ სიძულვილს ბურებისადმი.

✿ უკანასკნელი ცნობებით, ქრისტიან დევეტი ორანჟის რესპუბლიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში სდგას. მას 3000-ზე მეტი ჯარის კაცი ჰყავსო. ლუი ბოტას განზრახვათა და გეგმების შესახებ ამ ბოლო დროს სარწმუნო ცნობა აღარ მოსულა. გენერალი დელარეი 1500 კაცით დაუღალავად და მხნედ მოქმედებს მაგალის მთებში, პრეტორიის ახლო, დასავლეთისაკენ. ინგლისელ სამხედრო ფურგუნების ქარავნებს დელარეი სწორედ მოსვენებას არ აძლევს. ამ უკანასკნელ დროს იმან ორი ქარავანი ჩაიგდო ხელში და დამცველი რაზმები დაატყვევა.

# ახალი ამბავი

✦ 8 აპრილს, პეტერბურგში, მართლმადიდებელთა საიმპერატორო საზოგადოების კრებაზე საზოგადოების საპატიო წევრად, სხვათა შორის, არჩეულ იქმნა საქართველოს ეგსარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღდელოესი ფლაბიანე.

✦ გზათა სამინისტროში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი რკინის გზებზე მსახურთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. კომისიის თავჯდომარედ დაინიშნა სამინისტროს საბჭოს წევრი ს. ნ. ისტრუემსკი. კომისიას გზათა მინისტრმა თავ. ხილკოვმა დაავალა აგრეთვე განიხილოს საკითხი რკინის გზების მსახურთა შორის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებათა დაარსების შესახებ.

✦ მომავალ წლის 1-ლ იანვრიდან შემოღებულ იქმნება ახალი შტატები იმპერიის ყველა სახაზინო პალატებში, მათ შორის ამიერკავკასიის პალატებშიაც. ყველა პალატები გაიყოფებიან რამდენსამე ჯგუფებად და ამის მიხედვით ჯამაგირები მოემატება მოხელეთ. ტფილისისა და ბაქოს პალატები ჩაირიცხებიან მე-2 ჯგუფში. აგრეთვე ხაზინებიც განიყოფებიან 7 ჯგუფად, რომლებშიაც მოხელეთ მოემატებათ ჯამაგირები, გარდა მე-6 და მე-7 ჯგუფებისა.

✦ ამას წინად ტფილისის ქალაქის წყლის მილის მსახური ნერინგი მუშაობის დროს დაშავდა და გარდაიცვალა; მის მამას შეუტანია ქალაქის საბჭოში განცხადება, რომლითაც თხოულობს პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი ქალაქის თავი ევანგულოვი და გამგეობის წევრები შესტაკოვი და თავ. ჩერქეზიშვილი, რადგანაც ამათი უყურადღებობის გამო სამუშაო უწეს-რიგოდ იყო მოწყობილი, რამაც ჩემი შვილი იმსხვერპლაო.

✦ რკინის გზათა უმთავრესის სამართველოს, გზათა მინისტრის ბრძანებით, რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრების რწმუნებულისათვის ამ რამდენიმე ხნის წინად გაუგზავნია ცირკულიარი, რომელშიაც გამოთქმულია აზრი, თუ როგორი საშუალება უნდა იქმნეს მიღებული რკინის გზებზედ, რომ მგზავრთ ჩვეულებრივ უბედურებანი თავიდგან ააშოროს. უმთავრესი მიზეზი რკინის გზებზე სხვა და სხვა უბედურებისა, ცირკულიარის აზრით, ის არის, რომ მგზავრნი სავსებით არ იცავენ წესს რკინის გზით მიმოსვლისას: მაგალითად, სხდებიან ისეთ ვაგონებში, რომელნიც ქალებისათვის არის დანიშნული, უდროვო-დროს ჩამოხტებიან ხოლმე ვაგონებიდან: ან და როცა დაიძვრის ხოლმე მატარებელი, მაშინ ხტებიან ხოლმე ვაგონში და მასთანავე დაუდგრომლად გადადიან ერთი ვაგონიდან მეორეში მატარებლის სიარულის დროს, რის გამოც ყოველთვის მოსალოდნელია უბედურება. რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრების რწმუნებული ცირკულიარში ამბობს, რომ აღნიშნულ უბედურებათა ასაცილებლად ყოვლად მიუცილებელია შეურყევლად იქმნეს წესი დაცული და თუ ამის დამრღვევი ვინმე იქმნება, პასუხის გებაში იქმნეს მიცემული: იმავე ცირკულიარის აზრით, ასეთ პირებზე ოქმის შედგენა ჟანდარმთა გარდა უნდა დაევალოს სადგურთა უფროსებს და სხვა. ამის გამო ახლო მომავალში ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს მატარებელთა მოძრაობის განყოფილებაში განზრახულია სხდომა, რომელზედაც უნდა იქმნეს შემუშავებული წესი, თუ როგორი ზომები უნდა იქმნეს მიღებული რკინის გზაზედ მატარებლების მიმოსვლის დროს უბედურებათა ასაცილებლად.

✦ ორშაბათს, 16 აპრილს, ტფილისის საბჭოს, სხვათა შორის, წარედგინება ინჟინერების ბრაილოვსკისა და ხატისოვის პროექტი ბოტანიკურ ბაღში ტუნელის გაყვანისა და ელექტრონის რკინის გზის შესახებ. გამგეობამ პროექტი პრინციპიალურად მოიწონა.

✦ გავახსენებთ მკითხველებს, რომ დღეს ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში ქართული დრამატიული დასისაგან, ქ-ნ ნ. ნ. გაბუნია-ცაგარლის თაოსნობით, წარმოდგენილი იქმნება ბ-ნ სუნდუკიანცის ცნობილი პიესა „ხათაბალა“. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ახლად დანიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ბ-ნი ჩერეპანოვი.

✦ ქვაშვ. წმ. გიორგის ეკკლესის კომიტეტის თავმჯდომარეს, თ. ამილახვარს, თ. მუხრანსკის, არჯევანიძეს და ეკკლესიის კრებულს სურვილი ჰქონდათ გაედიდებინათ ხსენებული ეკკლესია და რადგანაც ქვაშვეთის ეკკლესიის კედლები საკმაოდ დახეთქილია რამდენსამე ადგილას, ამისთვის კომიტეტმა მოიწვია მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, ხუროთ-მოძღვარნი: ბუტკევიჩი, ტატიშჩევი, შიმკევიჩი რაგოისკი და ბილფელდი, იმ მიზნით, რომ შეემოწმებინათ— შეიძლებოდა თუ არა ქვაშვეთის ეკკლესიას სიდიდე მომატებოდა, ისე რომ დაზიანებული კედლები საშიში არ ყოფილიყვნენ. ხსენებულ ხუროთ-მოძღვართ განაცხადეს, რომ კედლები ძალზედაა დაზარალებულიო, რის გამოც, თათბირის შემდეგ, დაადგინეს ერთ ხმივ: სრულიად დაინგრეს ახლანდელი შენობა და ახალი ეკკლესია აშენდეს საუკეთესო გეგმაზედ.

✦ მარსელიდან გვწერენ: „ახალს მოსავალს პარკისას ჯერ თვალი არ უჩანს,— აქეთ მაინც წელს გაზაფხული 20 დღით დაგვიანებულია,—მაგრამ მაინც „ცდილობენ“ პარკის მყიდველები, რომ „დიდი“ მოსავალი „დაინახონ“ და ამით დღევანდელი პარკის ფასი დასწიონ, დასცენ. ნაალდგომევს ფასები ძირს დაიწია. მოთხოვნილება არის, მაგრამ დაბალ ფასებში. არ იცის კაცმა, რით გათავდება ეს „ჭაპანწყვეტა“ გამყიდველსა და მყიდველს შუა“.

✦ ოთხშაბათს, 18 აპრილს, ტფილისის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია სხდომა გამგეობის ქალაქის მესამე სესხის განაღდების შესახებ. სხდომაზე ქალაქის გამგეობამ მოიწვია ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველი ნიკიტინი, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების მმართველი ყორღანოვი, ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის თავჯდომარე თავ. ი. ჭავჭავაძე, საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების მმართველი ბ-ნი იონესიანი, საბჭოს საფინანსო კომისია და ქალაქის ზოგიერთი ხმოსნები.

✦ ჩვენის გაზეთის გუშინდელ-ნომერში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა შესტაკოვმა განცხადება შეიტანა გამგეობაში იმის შესახებ, რომ თანახმად უმართებულესის სენატის განმარტებისა, ძალაში უკვე შესულია ქალაქის საბჭოს მიერ დამტკიცებული ამ წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვაო. პარასკევს, 13 აპრილს, ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ეს წინადადება, დაადგინა დაევალოს ქალაქის მოურავს წარუდგინოს ბ-ნ შესტაკოვის მოსაზრება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს და ამასთანავე სთხოვოს, რომ აცნობოს გამგეობას—სცნობს თუ არა ქალაქის ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვას ძალაში შესულად.

✦ კავკასიის სამოქალაქო სამკურნალო უწყებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ გაძლიერებულ იქმნას კრედიტი სოფლებში უფასოდ წამლების დასარიგებლად.

✦ განჯის საგუბერნიო მმართველობა შუამდგომლობს, რომ დაარსებულ იქმნას განჯის გუბერნიაში რამდენიმე ნორმალური სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ გორის მაზრის სოფელ ბრეთში ტფილისის რამდენიმე მასწავლებელი ქალი აარსებს სკოლას და განზრახვა აქვთ მიიღონ პანსიონერებად ზაფხულში ქალაქის იმ ღარიბ მცხოვრებთა შვილები, რომელთაც შეუძლებლობის გამო არ შეუძლიანთ თვის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად საგარაკოდ წასვლა.

✦ ტფილისის „კრუჟოკში“ 18 და 22 აპრილს ბ-ნი ლუნკევიჩი წაიკითხავს საჯარო ლექციას „წარსული და მომავალი დედამიწისა“. ნახევარი შემოსავლისა გადაეცემა ბავშების სამზრუნველოს ტფილისის საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ მაისში პეტერბურგში მოხდება კრება რუსეთის რკინის გზების მატარებელთა მიმოსვლის გამგე განყოფილებათა უფროსებისა.

✦ დ. სამტრედიიდან გვატყობინებენ, რომ იქ წასულ კვირაში ადგილობრივი ეკლესია გაუტეხია სამ ბოროტ მოქმედს შემდეგის მოხერხებით: სალამოს ლოცვაზე მისულან ეს ვაჟბატონები; დაუწყვიათ საქმე ისე, რომ ვიდრე ეკლესიას დაჰკეტდნენ, ერთი მათგანი უმცროსი შიგ ეკლესიაში დამალულიყო, რომ დაკეტისა და ხალხის წასვლის შემდეგ გაეღო კარები დანარჩენებისთვისაც. უმცროსი ქურდთაგანი იმდენად ბავშვი ყოფილა, რომ შეშინებია ამ გარდაწყვეტილების ასრულებისა და ამიტომ ეს საქმე უკისრნია ერთს მათგანს, რომელიც ლოცვის გამოსვლისათანავე ჩუმად შეფარებულა ტრაპეზს ქვეშ; როცა უკვე მოუხელებია დრო, გამოსულა იქიდან, გაუღია ეკლესიის კარი დანარჩენებისათვისაც, რომელთან ერთად გამოუტანია ეკლესიიდან ფულად 120 მანეთი; ხოლო რადგანაც ყმაწვილისათვის არამც თუ წილი არ დაუდევსთ ნაქურდალში, კიდეც განწყრომით გაუგდიათ, მას ჯავრის ამოსაყრელად ეს ამბავი სხვებისათვისაც შეუტყობინებია. როგორც გვატყობინებენ, ბოროტ მოქმედნი უკვე დაუპატიმრებიათ ციხეში და საქმე გამომძიებლისათვის გარდაუციათ: მოპარული ფულებიდან ქურდებს აღმოუჩენიათ 70 მან, რომელიც კიდეც ჩამოურთმევიათ.

✦ პარასკევს, 13 აპრილს, სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობას, რომელზედაც განხილულ იქმნა შუამდგომლობა ნაძალადევში ლოტკის მთაზედ მართ-მადიდებელ ეკლესიისათვის ქალაქის მიწის დათმობის შესახებ; ამავე სხდომაზედ იქმნა განხილული აგრეთვე საბჭოს ხმოსნის თავ. ბებუთოვის განცხადებაც, რომლის შინაარსი ჩვენმა მკითხველებმა იციან. გამგეობამ დაადგინა: დაეთმოს ლოტკის მთაზედ მართ-მადიდებელ აკკლესიისათვის ადგილი ზომით 1200 ოთხ. კ. საჟ., ამასთანავე დაევალოს მიწის მზომელს ბ. ლარიონოვს შეადგინოს გეგმა ამ ადგილისა სისწორით სამზღვრების აღნიშვნით; აგრეთვე გამგეობამ თავ. ბებუთოვის განცხადება პრინციპიალურად მოიწონა და დაადგინა დაევალოს ქალაქის მიწის მზომელს აღნიშნოს იქვე ადგილი სხვა სარწმუნოების მცხოვრებთათვისაც ეკლესიების ასაშენებლად და მოეთხოვოს სხვა სარწმუნოების სასულიერო მთავრობათ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ადგილი იქმნება საჭირო მათის ეკლესიებისათვის.

✦ გუშინ, 14 აპრილს, ტფილისის სასამართლო პალატამ განიხილა ტფილისის გუბერნიის მცხოვრების ვასილ ანდიაშვილის საქმე, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა, ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ანდიაშვილი და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლის ვადით გაგზავნა. პალატამ ანდიაშვილს ოლქის სასამართლოს მიერ გარდაწყვეტილი სასჯელი ერთის წლით შეუმცირა.

✦ ამავე დღეს პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ტფილისში მცხოვრებს სოლომონ კუჭუხიძეს კაცის გაძარცვის გულისათვის ჩამოერთვა ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობანი და 4 წლით სამუშაო მადნებში გაიგზავნა.

✦ 30 აპრილს დანიშნულია პირველი ეგზამენი ტფილისის საბებიო ინსტიტუტში; მეორე ეგზამენი იქმნება მაისში.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს ზოგიერთი მოხელეები გადაყვანილ იქმნებიან სხვა სამსახურში.

✦ როგორც ბრმათა სამზრუნველო საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს, საზოგადოებას მარტის პირველ რიცხვისათვის ჰქონია კასაში 12,572 მან. 47 კაპ. მარტის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 2758 მან. 77 კაპ. მარტის განმავლობაში დაუხარჯავთ 2803 მან. 32 კაპ. ასე რომ აპრილისთვის დარჩენიათ სულ 12,437 მან. 92 კაპ. საანგარიშო დროს განმავლობაში ახალი ავადმყოფები ყოფილან 615-მდე და სულ ძველებთან ერთად შემწეობით უსარგებლნიათ ავადმყოფთ 15.235-ჯერ.

✦ გუშინ, 14 აპრილს, ტფილისის გამგეობის წევრად ნამყოფი თავად არგუთინსკი—დოლგორუკოვი გამოეთხოვა გამგეობის მსახურთ, რომლებმაც ადრესი მიართვეს.

✦ 14 აპრილს, დილის 4 საათზე, „ხლებნაია გორკაზე“ შემდეგი უბედურება მომხდარა: კავკასიის სამოქალაქო საექიმო უწყების მოხელე შჩეგლოვი რაღაც საოჯახო უსიამოვნებისა გამო სახლიდან წასულიყო ხსენებულ ადგილას და დაწოლილიყო კლდის პირას, საიდგანაც ძილის დროს გადავარდნილა და მძიმედ დაშავებულა.

✦ ხუთშაბათს პოლიციის მე-9 ნაწილში პოლიციის მოხელემ მიიყვანა მის მიერ ანდრეევის ქუჩაზე სულხანოვის სახლის შესავალთან მიგდებული ახლად დაბადებული ბავშვი მამრობითი სქესისა, რომელიც რაღაც ჩვრებში იყო გახვეული. იქვე იპოვნეს ბარათი ამ წარწერით: „მოუნათლავია“, ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

# პროვინცია

**კახეთი.** წარსულ წელიწადს გაიძახოდნენ: «ამისთანა წელიწადი წავიდეს და აღარ მოვიდესო». წელსაც ამასვე იმეორებენ. მიზეზი კი ორივე წელიწადის წყევლისა სულ სხვა და სხვა არის. შარშან გაზაფხულს და ზაფხულს გადაუღებლივ წვიმდა, ამასთან ზამთარიც ბარაქიანად თოვლიანი იყო; წელს აგერ გაზაფხულისა ორი თვე გავიდა, წვიმა თვალით არ დაგვინახავს და ზამთარიც მშრალი უთოვლო იყო. ამ ორმა ერთი მეორის წინააღმდეგმა მიზეზმა ერთი და იგივე წყევლა-კრულვა გამოიწვია, რადგანაც შედეგი ორივე მიზეზისა ერთი და იგივეა: ზარალი მოუსავლობისა გამო. მართალია, შარშანდელი მოუსავლობა განსაკუთრებით ღვინისა მარტო უამინდობას არ დაჰბრალდება, მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არ უწამლეს ვენახებს, მაგრამ ამასაც თვისი მიზეზი ჰქონდა: პურზედ ნაკლებად იყო ხალხი და რასაც შოულობდა, პურის ფასად არა ჰყოფნიდა. რადგანაც ერთიანად სყიდვა არ შეეძლო პურისა, გამომცხვარს ყიდულობდა და ამან გამოიწვია შარშან, რაც თავის დღეში არა ყოფილა—ურმებით თელავიდამ გამომცხვარი პური მიჰქონდათ სოფლებში. ამ გარემოებაში ჩაყენებული სოფელი როგორღა უწამლებდა ვენახს და რით?

წელს მცხოვრებთ მეტი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ჯეჯილები სულ სხვას ამბობენ: ანეულები, ნაოშები, ხასიმინდრები უკვე გაბრუნებულია უწვიმობის გამო. გაზაფხულზედ დათესილს გაღივებაც არ დასცალდა გვალვისაგან. სიმინდის დათესა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია; მინდორს მტვერი ასდის, რა სიმინდი მოვა? ამნაირად აგერ აპრილის ნახევარია და ჯერ არაფრის მოსავლის იმედი არ არის, გარდა ვენახისა. დიდი წინასწარ თქმის ნიჭი არ არის საჭირო, რომ დაბეჯითებით ითქვას: კახეთში წელს პურის მოსავლობა იქნება, რაც მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ქიზიყის მინდვრები, სადაც ხვნა-თესვას ერთი ათად მეტად მისდევენ, ვიდრე ზემო-კახეთში, გულს თურმე უწუხებენ მხვნელ-მთესვართ. ქიზიყის მოუსავლობა მთელს გუბერნიას დააწნდება. ამიტომ საყურადღებოა ამასთან მოლოდინი ყველასათვის. ღმერთმა ინებოს, რომ ჩემგან ნაუწყები სამწუხარო მოლოდინი თავით ბოლომდის გაცრუებულიყოს. მაგრამ რაც დღეს ვიცით, იგი გვაბრთხილებს და საჭიროდ ჰხდის შეიკრიბოს უფლების მქონებელთა განკარგულებით კახეთის თვითეულ საბოქაულობაში მომავალ მოსავალზედ უტყუარი ცნობები, რომ უმაღლესმა მთავრობამ წინადვე იცოდეს ყოველივე და ყველათვის დროს გაკეთდეს. სრული იმედი გვაქვს, ადგილობრივი მთავრობა უტყუარ ცნობებს შეჰკრებს მოსავლის შესახებ და მით ცხადად დაგვანახვებს მომავალსა.

ნადიკვრელი.

**ს. როკითი** (შორაპნის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებლებს გაუკეთებიათ მდ. ხანის-წყალზე ვიწრო ხის ხიდი, რომელიც იქით-აქეთ ნაპირებზე უმთავრესად არის დატოვებული, რის გამოც 7 აპრილს ერთი უბედურება მომხდარა: ს. სვირიდან გამგზავრებულა ურმით ვიღაც ახალ-გაზდა კაცი; როცა მისულა ხიდთან და შეუნიშნავს სივიწროვე ხიდისა, ასე რომ წყვილად შებმული ხარის გაყვანა ხიდზე შეუძლებელი იქნებოდა, საუბედუროდ ცალი ხარი გამოუხსნია ურმიდან და თვითონ ხელით მიხმარებია ურემში შებმულს ხარს, რომ ურემი გაეტანა წყლის მეორე ნაპირზე; როცა შუა ხიდზე მიუტანიათ ურემი, უეცრად დაფრთხალა ურემში შებმული ხარი და მოულოდნელად ახალგაზდა კაცი გადუგდია ხანას წყლის ღრმა მორევში; სოფლის მაყურებლების მიერ შემწეობის აღმოუჩენლად გაუტაცნია ხანის წყლის ტალღებს და მეორე დღეს იპოვეს თევზის საჭერ «ფაცერში» დამხრჩვალი. საბრალო უცნობ კაცს ღრმა მოხუცი მშობლები დარჩენია უნუგეშოდ. არ იქნება ურიგო ამ სახიფათო ხიდის გამკეთებლები ყურადღებას მიაქცევდნენ ამ უბედურს შემთხვევას და ან გააკეთებდნენ ხსენებულ ხიდს ისე, რომ უბედურების შეუმთხვევლად სარგებლობდნენ მითი და ან სულ აკრძალავდნენ, რომ ასეთი უბედურება კიდევ აღარ განმეორდეს.

ირაკლი ტყეშელაშვილი

# სალამოს დეპეშები

14 აპრილი.

**პეტერბურგი** 24 აპრილს პეტერბურგში მარსის მოედანზე მათი უდიდებულესობანი დაათვალიერებენ ჯარებს.

**ბერლინი** ვალდერზეე პეკინიდან იტყობინება, რომ 15 კილომეტრის სიშორეზე, პაიტანის რკინის გზის სადგურის ჩრდილოეთით და შანჰაი-გუანის დასავლეთით, პენჯაბის ქვეითა პოლკს შეტაკება ჰქონდა ავაზაკთა ძლიერს ბრბოსთან. ბრიტანიის და იაპონიის ჯარები, რომელთაც მიემატა ზუავების როტაც, წავიდნენ მისაშველებლად, დაეცნენ ავაზაკთა ბრბოს დაიდუინთან, ფუნინის ჩრდილოეთით, და კედელს გარედ გაიქციეს. ამ რაზმს ცხრა კაცი დაუჭრეს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. საბჭოს პრეზიდენტმა კერბერმა კრებას გააცნო პროექტი არხების გაყვანისა და სთქვა, რომ ეს საქმე დიდმნიშვნელოვანია ავსტრიისათვის. ავსტრიას აქამდის მხოლოდ ერთი დიდი არხი ჰქონდა, ეხლა კი გაიყვანს არხებს, რომელთა გაყვანაც დაჯდება 75 მილიონი კრონი. მინისტრ-პრეზიდენტი უთითებს არხების დიდმნიშვნელობაზე მრეწველობისა და საქონლის გადაზიდვის საქმეში და გამოსთქვამს იმედს, რომ მცირე ტარიფი ხელს შეუწყობს მიწად-მოქმედების და მრეწველობის განვითარებას, მეტადრე შაქრისა და საფეიქრო წარმოებას და გააადვილებს ავსტრიიდან საქონლის გატანას. მინისტრს იმედი აქვს, რომ შინაურ მეურნეობასაც ბევრს სარგებლობას მოუტანს ეს კულტურულ-ეკონომიური ნამრომი, მით უმეტეს, რომ ზოგი ნიშნები ჰმოწმობენ ხალხის თანაგრძნობას მთავრობის მოქმედებისადმი. (აღტაცებული ტაშის ცემა).

**ვაშინგტონი.** ამერიკის საელჩოს პირველი სეკრეტარი პეკინში დეპეშით იტყობინება, რომ ქვრივმა დედოფალმა დააწესა უმთავრესი მმართველობა სახელმწიფო საქმეთა, რომელიც თავის მოღვაწეობას უნდა შეუდგეს. ვაშინგტონში ამაში ნიშნებსა ჰხედავენ, რომ დედოფალი უარს ამბობს თვით ნებით მიართვას, და ჰფიქრობენ, რომ ამ მმართველობის საშუალებით უცხოელ ელჩებს გაუადვილდებათ ოფიციალური დამოკიდებულობა მთავრობასთან.

**პეკინი.** ინგლისელებმა კაიპინს წაართვეს, ტაკუსა და შანჰაიგუანის შუა, 16 ზარბაზანი და 67 ფურგონი სამხედრო სურსათით. ინდუსთა ჯარებს ოფიცრისათვის ჩინელებს შეუძლევიათ ორი ფურგონი ვერცხლით დატვირთული, თუ ეს უკანასკნელი დაუტოვებდა მათ ზარბაზნებს და არაფერს ეტყოდა თავის უფროსს.

წარსულ ღამეს აქ გააკრეს აფიშები, რომლებშიაც ჩინელ პატრიოტებს მოუწოდებენ მოახდინონ 2 მაისს ამბოხება, რათა განდევნონ ჩინეთიდან უცხოელნი.

**პეტერბურგის ბირჟა 13 აპრილს.**

**ვექსელის კურსი 3 თვით:**

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში . . . . 93,75
ბერლინზე 100 მარკაში . . . . . . . 45,90
პარიზზე 100 ფრანკში . . . . . . . 37,32½
ლონდონზე ჩეკები . . . . . . . . 94,60
ბერლინზე „ . . . . . . . . . 46,30
პარიზზე „ . . . . . . . . . 37,62½
ბირჟის დისკონტი . . . . . . . . 5¾,—7%

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | ვ | ა ნ | ა თ ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხ. 1893 წ. | 100 | — | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა . . . . | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . | — | — | 357½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 289 | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — | 220½ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა . . . . . . . . | — | — | 88⅞ |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკი 5% გირავნ. ფურცლ . . . . | 92½ | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . . | 86½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ . . . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 93 | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — | 93 | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა . . . . . . | 84¼ | — | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.


**ბანცხადებანი**

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით 16 აპრილს, 1901 წ. შუადღის 12 საათზე,

**დანიშნულია საჯარო**

**ვაჭრობა,**

რომლითაც გაიცემა იჯარით უსუფთაო წყლის გასაყვანი მილის გაკეთება ბეტონისაგან—სიგძით 77,50 საჟენი ანდრეევის ქუჩაზე, 4000 მანეთის ღირებულებისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Апрѣля 1901 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.